[...]თი, 12 დეკემბერი. 1896—1898 შაბათი, 12 დეკემბერი № 702

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირ-და-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

დამდეგი 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა
გაზეთ „ცნობის ფურცელზე"
ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ვინც ამ თავითვე გამოიწერს ერთის წლით, იმას ერთი თვე მუქთად დაეთმობა გაზეთი

## ქართული თეატრი

კვირას, 13 დეკემბერს
ქართულ დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან
წარმოდგენილი იქნება

## რევიზორი

კომედია 5 მოქმ. თხზ. ნ. გოგოლისა. თარგ. ა. ჭიჭინაძისა.

მოთამაშენი: ქქ. კარგარეთლისა, ჩერქეზიშვილისა, გარელი, გალუსტოვისა, ბბ. აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, ადამიძე, იმერიძე, იმედაშვილი, თირელი, ხოსროევი და სხვ.

**ადგილების ფასი დაკლებულია**

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

ხუთშაბათს, 17 დეკემბერს, ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა.

## ქართველნი მწერალნი

ახლად დაიბეჭდა ფოტოტიპიური სურათი ქართველთ მწერლებისა.

სულ ოცის მწერლის სურათია საუკეთესო ბრისტოლის ქაღალდზე დაბეჭდილი.

ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში, თითოეული სურათი **75** კაპიკად.

ვინც ნაღდ ფულზე იყიდის არა ნაკლებ 10 ცალისას, თითოეული სურათი დაეთმობა 50 კაპ. ვინც ფოსტით გამოიწერს სურათს, გაგზავნის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს. ყოველ ცალზე ფოსტის ხარჯად 15 კაპ. უნდა დაემატოს. ფული შეიძლება ფოსტის მარკებითაც გამოგზავნონ. ამ სურათის გასყიდვისაგან შემოსული ფულის 10% გადადებულია „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ.

ადრესი: Тифлисъ, фотографія А. Ройнова, А. Нордштейну

(10—6)

**1899** წლისათვის ვაპირებ გამოცემას

## უბის წიგნისას კალენდრით

რომელიც დაიბეჭდება რიცხვით 5000-მდე. ვიღებ განცხადებებს პირველ გვერდზე—5 მან., უკანასკნელზე—2 მან.

ადრესი. *Квирилы. Ивану Ардишвили.* (15—6)

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

**20** მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница В. С. Топуріа* въ Кутаисѣ.

## Готовлю

въ землемѣрное и техническое училище, въ учит. институтъ и на вольноопредѣляющагося. Подъ Давидомъ (მთაწმინდა), 2-я Овражская, № 2. **Грязновь**

(4—2)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

## ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

**БЕНКЛЕВСКІЙ**

Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (წ.)

## ექიმი

## კ. ი. გძელიშვილი

მ ი ი ღ ე ბ ს

შელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.

Докторъ **К. И. Гдзелишвили.**

Михайловская, противъ кирки.

(100—64)

## ექიმი

ე. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ **К. М. Чиковани**

Михайлов., № 16.

## ახალი ამბავი

—

*** ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის წირვა ანჩისხატში. ხვალ, 13 ამა დეკემბერს, ანჩისხატის ტაძარში მწირველი ბრძანდება ლეონიდი, ეპისკოპოსი გორისა. წირვის შემდეგ მწირველნი არიან მრევლნი ამა ტაძრისა ალშოსარჩევად სამრევლო სამზრუნველოს წევრებისა და მნათესი.

*** ახალი წიგნი, ისტორია საქართველოს ეკლესიისა. აქამდე არავის შეუდგენია საქართველოს საეკკლესიო ისტორია სახელმძღვანელოსებურად ჩვენს სასულიერო სემინარიებში სახმარებლად. მომავალი მღვდლები სასწავლებელში მოკლებულნი იყვნენ ღონისძიებას გაეცნოთ ისტორია იმ ეკკლესიისა, რომლისათვისაც სწავლის დამთავრების შემდეგ უნდა ემსახურნათ. ლაპარაკიც კი მეტია იმის შესახებ, თუ რავდენად საგრძნობელი იყო ეს ნაკლი ჩვენთვის. ამიტომ, მით უფრო დაუფასებელია ჩვენთვის საქართველოს საეკკლესიო ისტორიის დაუღალავის მკვლევარის, პატივცემულ მოსე ჯანაშვილის შრომა, რომლის

სათაური უკვე აღმოვწერეთ. ავტორს დაუბეჭდია რუსულად ჯერ მხოლოდ პირველი ნაწილი თავისის თხზულებისა, ამ ნაწილის შინარსს შეადგენს: 1) მომზადება ქართველთა ქრისტიანობისათვის, 2) წმ. ნინოს მოსვლა საქართველოში და მისი ქადაგება და 3) მოქცევა ქართველთა. ესპირველი წიგნი აუარებელ მასალას შეიცავს ჩვენის საეკკლესიო ისტორიისას და საუკეთესო (და ამასთან, ერთად-ერთ) სახელმძღვანელოდ ჩაითვლება ჩვენის სასულიერო სემინარიებისათვის. მხოლოდ სამწუხარო ისაა, რომ ასეთი წიგნები ქართულადაც არა გვაქვს, რომ რუსულის უცოდინარმაც გამოიყენოს და გაიცნოს ივერიის ეკკლესიის თავგადასავალი. წიგნი (95 XIV გვერდია) სუფთათაა გამოცემული მ. შარაძის სტამბაში და ავტორს ფასიც ნაკლები დაუნიშნავს, 40 კაპ. სასურველია, ეს ყოვლად სასარგებლო წიგნი გავრცელდეს ჩვენის სამღვდელოების შორის.

* * * ბათომის გიმნაზიის სახელი. განზრახვა აქვთ ბათომის სავაჟო გიმნაზიას უწოდონ მიხეილის სახელი მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის პატივ-საცემლად.

* * * სამეურნეო სასწავლებელი ოძისის მამულში. ოძისის მამულის პატრონმა თავ. ზ. გ. ერისთავმა პეტერბურგიდან შემდეგი დეპეშა მიიღო მიწად-მოქმედების დეპარტამენტის დირექტორის დ. ს. ს. ხომიაკოვისაგან: „მინისტრმა თანხმობა განაცხადა იმაზე, რომ მიიღოს ოძისის მამული შიგ დაბალ სამეურნეო სასწავლებლის დასაარსებლად ჯერ-ჯერობით“ („ნ. ო.“)

* * * სომეხთა კათალიკოსს 10 დეკემბერს, ეპარქიის უფროსმა ეპისკოპოსმა გევორქ სურენიანმა წარუდგინა ყველა ტფილისელი სომხის მღვდლობა და ზოგიერთი მონასტრების წინამძღოლები.

* * * უნტერ-აფიცრის ლოლობერიძის საქმე. 22 დეკემბერს, კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლო გაარჩევს უნტერ-აფიცრის ლოლობერიძის მიერ გორის სათადარიგო პოლკის ხაზინადრის კაპ. ვორონკოვის მოკვლის საქმეს. საქმე გაირჩევა იმ კანონების მიხედვით, რომლებიც მოქმედებენ ომის დროს.

* * * შაბიამნის გამოწერა. რადგან შაბიამნის ფასი როგორც საზღვარ-გარეთ, ისე რუსეთში, სპილენძის გაძვირების გამო, სწრაფად მატულობს, ამის გამო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ ინგლისიდან გამოიწერა მომავალ წლისათვის 6,500 ფუთი შაბიამანი.

* * * იამბაქოს ქარხნის პატრონთა თხოვნა. სავაჭრო სახლის „მირის“ თამბაქოს ქარხნის პატრონებს, როგორც „ნ. ო.“ გაუგონია, უთხოვნიათ სათანადო მთავრობისათვის დადგენილ იქნეს ისეთი წესები, რომლებიც აუცილებლად საჭიროა ქარხნის პატრონთა და მუშათა შორის დამოკიდებულების გასაწესრიგებლად იმ შემთხვევისათვის, როცა ქარხანაში ხელით მუშაობის მაგივრად შემოღებულ იქნება მანქანებზე მუშაობა.

* * * მუშების სიცოცხლისა და ჯანსაღობის დაცვა. ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტმა შეამუშავა იმ ზომების პროექტი, რომლებსაც უნდა ეხმარებოდნენ სამრეწველო დაწესებულებანი მუშების სიცოცხლისა და ჯანის დასაცველად მათი მუშაობის დროს ქარხნის შენობებში, რათა ეს საქმე უფრო საფუძლიანად იქნეს მოგვარებული. დეპარტამენტმა თავისი პროექტი რუსეთის საიმპერატორო ტეხნიკურ საზოგადოებას წარუდგინა განსახილველად.

* * * უარხობის გამო უსუფთაობა მთაწმინდაში. მთაწმინდაზედ, საზოგადოთ ვერ ვიტყვით, რომ სრულებით არხები არ იყოს გაყვანილი, მაგრამ ისიც არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთაწმინდაში მცხოვრებლები ყველა კმაყოფილნი იყვნენ, იმ არხებით, ზემო მთაწმინდაში: იქ სრულებით არ არის გაყვანილი არხები, რომლის მიზეზითაც დიდი უსუფთაობა არსებობს, მცხოვრებლებს წყლის ჩასაღვრელი არა აქვთ, იმის მიზეზით ქუჩებზედ და სხვა და სხვა უადგილო ალაგს ღვრიან ნარეცხს წყალს და ყრალი სუნი დგება, რომელიც დიდი მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის! სამწუხარო კიდეც ის არის, რომ აქ ფეხის ალაგები ძალიან დიდხანს რჩება გაუწმენდალი, რომელიც ძლიერ აფუჭებს ჰაერს. დიდათ სასიხარულო იქნება, რომ აქ არხებს გაიყვანდნენ, რის გამოთაც მთაწმინდა მოკლებული იქნება ყველა ზემოხსენებულს უსუფთაობას.

გ. წ.

**ს. აბაშა.** (ქუთაისის მაზრა) საზარელი შემთხვევა. ამ სოფელში იმყოფებოდა ცნობილი აზ. ალექსი შალიკაშვილი, უკვე გარდაიცვალა, ბევრი კეთილის მიმართულების მქონე კაცი იყო, ამა მდგომარე წელს ნოემბრის რამოდენიმე რიცხვში. მიპატიჟეს ერთ პატივ[ც]ემულ ოჯახში, სადაც ხხვა ყმაწვილ-კაცობაც იყო მოწოდებული, როდესაც შეზარხოშდენ ჩვეულებისამებრ, ერთმა მ—კ მიმართა სხვა-და სხვა ქებით, ზემოხსენებულ პირს. ეს ფრიად საქებური და სასიამოვნო ალერსი იუკადრისა აზ. და უსაყვედურა პირადი ქებისთვის, როგორც ფარისევლის. ამ დროს ღვინით გავეშებულმა მ—კ აიღო სავსე ბოთლი და ესროლა, თავი ჩაუმტვრია, მიუხედავად ამისა ვინმე მკურნალი მოეყვანათ და შემწეობა აღმოეჩინათ, უგნური მეგობრები გაიძახოდნენ „ტყვილათ თვალთმაქცობსო უნდა შემთხვევით ისარგებლოსო“. ესრე ძალუნებლათ იტანჯა გუთი დღე და შემდეგ განუტევა სული უპატრონობით; გამოასალმეს წუთის სოფელს საწყალი კაცი.

ბესარიონ კავტალი

**ს. კულაჩი.** (ქვემო იმერეთი) ქურდობა. ამას წინათ აქ კნეინა სოფიო მიქელაძისას მოჰპარა თავისმა მოსამსახურე გოგომ თავისი სახლში სხვა-და-სხვა ოქროს და ვერცხლის ნივთები. აი საქმის გარემოება: ს. მ—ძისას ეს ნივთები დრო გამოშვებით თან-და-თან ეკარგებოდა. უკანასკნელ ნივთის დაკარგვამდი მას ეჭვი არავისზე არ მიუტანია, ხოლო ბოლო დროს ყოველივე ეს შენიშნა თვის მოსამსახურეს, რომელიც კიდეც გატყდა და სთქვა, რომ მას წაეღო ეს ნივთები და მიეტანა აქაურის ებრაელის ცოლისათვის. ამაზე წავიდნენ რამდენიმე პირნი ებრაელის ცოლთან და ჰკითხეს თუ მართლაც ის იყო ამ ნივთების ამღები, მაგრამ ამ უკანასკნელმა გაიგო-რა უკვე საქმის გარემოება, სრულიად უარჰყო, რომ მას არ ჰქონდა ამ საქმეში არა ვითარი მონაწილეობა მიღებული.

როგორც თქმა არის დაკარგულ ნივთებისა ფასი აღემატებოდა ას თუმანს. ვგონებ ადგილობრივმა ბოქაულმა ზომები მიიღო ზემოაღნიშნულ ნივთების აღმოჩენისათვის, მაგრამ ვერაფრათ და ეს საქმე დღესაც გაუგებრათ დარჩენილია. უმჯობესი იყო ვიდრე ეს საქმე გახმიანდებოდა ეცნობებიათ იგი თ. მელქისედეკ შმაგისძე მიქელაძისათვის, რომელიც როგორც აღმორჩეული კაცი სხვათა შორის ამ საქმესაც დააბოლოვებდა კანონიერათ.

ევგენი ჩიჯავაძე

## სამღვდელოების კრება ქ. ფოთში.*)

ს. ზანა (სამეგრელო). გზების შესახებ. აგერ ორი თვეა, რაც მთავრობის ბრძანებით შეუდგნენ, როგორც ჩვენს სოფელში, აგრეთვე ახლო-მახლო სოფლებშიაც, გზების შეკეთებას, მაგრამ, ვაი, ამისთანა კეთებას! ამისთანა კეთებას, მგონია, გაუკეთებლობა სჯობდა. გამოჰყარეს გლეხები გზაზე და უბრძანეს: „აკეთეთ გზებიო“. დადგნენ და აკეთეს გზები, მაგრამ როგორ?—როგორც მოხვდათ ისე დასთხარეს გზები და ორღო-ჩოღროები გააკეთეს, გზები უსწორო, ათასნაირად მიკლაკნილ-მოკლაკნილი. წინედ ქე მაინც გზა დატკეპნილი იყო, ეხლა კი იმასაც ზეით მიწა გადააყარეს და ავდრებში ურმები და ცხენები ლაფში იფლება. რა გასაჭირი იყო, რომ ვინმე ზედამხედველი (გზის გამზომველი) დაეყენებიათ! დამერწმუნეთ ვინმე ზედამხედველი რომ დაეყენებიათ, გზები უფრო ადვილად და კარგად გაკეთდებოდნენ, ასე რომ ყოველ წლობით შეკეთება აღარ დასჭირდებოდა. ან და კიდევ ებრძანებიათ, რომ ხრიაში (ქვა-სილა) მოეყარათ გზებზე. ყველა თავადი, აზნაური, გლეხი, ერი, ბერი, იმას გაიძახოდა და გაიძახის, რომ ოღონდ ქვა მოაყარონ და კარგი გზა გააკეთონ სენაკამდის და ხარჯს და შრომას აღარ დავიშურავთო. თითქმის რამოდენიმე გზების მაკეთებელ გლეხებისაგან გავიგონე, რომ ოღონდ კარგ გზას გამაკეთებინებდნენ, თორემ შრომა და ჯაფას ვინ ჰზოგავსო, ამ გზას კი ტყუილად მაკლავენო. რამდენიმე თხოვნები და საჩივრებია აღძრული ამ გზების შესახებ და კარგიც იქნება ვინმეს ზედამხედველობის ქვეშ გზას გააკეთებდნენ და ხრიაშ მოაყრიდნენ. ამ ზამთარში ამ ახლად გაკეთებულ გზებს, რომ დააწვიმს, დაათოვს, მაშინ აქეთკენ სიარულს უნდა გამოემშვიდობო.

გურულ-მეგრელი.

## წმ. დიდი მოწამე ქეთევან, კახეთის დედოფალი *)

(საისტორიო ცნობა)

«მოწყლულმან სურვილითა საღმრთოითა წყლულებანი მრავალნი თავს ისხენ და ტანჯვათა ფერადობანი ახოვნად დაითმინენ, ვინაცა წარმავალისა დედოფლობისა წილ სუფევაჲ ზეცისა დაიმკვიდრე, სამგზის სანატრელო ქეთევან, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის».

(ოხითა დიდი მოწამის ქეთევანისა).

მაგრამ შაჰ-აბაზმა ეს არ იკმარა, მან თეიმურაზის უფროსი შვილიც გამოითხოვა წინდად. თეიმურაზმა ესეც გაუგზავნა, თუმც ქეთევან დედოფალმა საიდუმლოდ მოსწ-

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 700.

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 701.

...ქილს არ აღესრულებინა შაჰ-... მოთხოვნილება. შემდეგ ბოროტმა შაჰ-აბაზმა უბრძანა თეიმურაზს თვით ისიც მისულიყო ერთგულების დასამტკიცებლად მის ბანაკში... მაგრამ თეიმურაზი შაჰ-აბასთან წასვლის ნაცვლად ქართლის მეფე ლუარსაბთან ერთად გაიქცა იმერეთში... ამით განრისხებულმა შაჰ აბაზმა ხელი მიჰყო კახეთის აოხრებას. „ვინა შეგმ აღრაცხნეს“,—იტყვის წმ. ქეთევანის ცხოვრების აღმწერი—„მაშინდელნი განსაცდელნი კახეთისა ანუ მეფეთა ...კლისა, მოოხრებანი და გარყვნანი ...ლათა ეკკლესიათა და მონასტერთა, ... გარდასახლებანი ერისთა სოფელკახეთისათა და სიკვდილი და კლვა... და ხვრელთა შინა ქვეყანისათა დამალულთა შიმშილი, ანუ მახვილი, ანუ ტყვეობა. მამინ შეგინებანი ქალწულთა, სიკვდილი მოხუცებულთა, სიკვდილი მებრძოლთა ჭაბუკთა, სიკვდილი მღვდელთა და დიაკონთა და თვით ეპისკოპოსთაცა და მწყემსთა მღვდელთა და ...ყვეობა მათი და დახოცვა ჩჩვილთა ცეცხლითა და დათხრითა მოსპობა ...ლდა-მშვენიერისა მის ქალაქისა გრე... და ... ერისთა ქალაქთა და სოფელკახეთისათა“. შაჰ-აბაზმა წმ. ქეთევან დედოფალი შვილი-შვილებითურთ გაგზავნა შირაზის ქალაქში დასაპატიმრებლად. ხუთი წლის შემდეგ შაჰ-აბაზმა წმ. ქეთევანის შვილის-შვილები ლევანი და ალექსანდრე თვისს სატახტო ქალაქს, ...ჰაანს წაიყვანა და იქ დაჰკოდა, დაასაჭურისა ალექსანდრე გარდაიცვალა დაკოდვის დროს, ლევანი ... ცოცხალი დარჩა და კარგა ხანს ...ცხლობდა დასახიჩრებული ამის ...მდეგ... შაჰ-აბაზმა წმ. ქეთევანს ...ულა, გაჰყოლოდა მას ცოლად, და გამხდარიყო სპარსეთის დედოფლად, მაგრამ უკანასკნელმა უარ-ჰყო ეს უსჯულო წინადადება სპარსეთის მრისხანე მბრძანებლისა. შემდეგ ძალას ატანდა შაჰ-აბაზ შირაზის უფროსის პირით, წმ. ქეთევანს მიეღო მაჰმადის სჯული, თუ არ სურდა უდროვოდ სიკვდილი... მაგრამ წმ. ქეთევან დედოფალი ეტყოდა შირაზის უფ...ასს: „არა რაიმე სახითა შესაძლოა ...ვჰყდა ჩვენის კეთილმსახურებისა, რომელსა შევსწირავ ჩვენს ღმერთსა“. წმ. ქეთევანს ჰქონდა საკუთრად სა...ცველი სახლი, რომელშიაც ...რიკა მუხლნი და ცრემლით ...ღრა ღმერთსა და სთქვა სხვა...რის: „მომივლინე მე ანგელო... სულისა ჩემისა და მიით... ჩემი და აღმრაცხე მე გუნ... მოწამეთა შენთასა. მიეც ძე... ემსა მეფესა თეიმურაზს ძლევაჲ“. ...მდეგ ეზიარა წმიდათა საიდუმლოთა და ამის შემდეგ გამოისახა ...რჯვარი გამოვიდა და დასჯდა ...შიშრად ვითა ლომი და მოუწოდა მტარვალებსა. მტარვალნი მოვიდნენ და თან მოიტანეს რკინის მრავალი ნაკვეთები, რომელიც აღგზნებულს ცეცხლში ჩაჰყარეს გასახურვებლად. მოსალოდნელი სატანჯველის შეეშინდათ წმ. ქეთევანის მსახურ ქალებს და მისს მოძღვარს გიორგის და უარ-ჰყვეს ქრისტე... წმ. ქეთევან დედოფალი, განგმირული თავის მსახურ ქალების და მოძღვრის გიორგის ასეთი გასაკიცხის საქციელით, გულ-მწუხარედ ცრემლის-ღვრით იტყოდა: „მრავალთა მოთმინეს ასეთი სატანჯველი. ვინ დარჩენილა საუკუნოდ ქვეყანაზედ?.. არა გახსოვთ, რაჲ უყვეს ძესა ღვთისასა, რაგორ დამსჭვალეს ძელსა ზედა ყოვლად-წმიდანი ხელნი და ფერხნი მისნი.*. დავითმინოთ უკვე ძვირნი, რათა ვეზიარნეთ ვნებათა ქრისტესთა“... ამ სიტყვების ზედ-გავლენით მისმა მსახურმა ქალებმა და მოძღვარმა შეინანეს შეცოდება თვისი და მასთან ერთად გასწირეს თვისი თავი იესოს სწავლისთვის. წმ. ქეთევანს, მტკიცედ აღმსარებელს იესოს სწავლისას, გაუჭიმეს ხელნი და მაჯანი, და გლიჯეს მარწუხით (გახურებული რკინის დასაჭერი მაშა) ძუძუები, წყლულზე დაადგეს გახურებული „საჯები“ (ტაფები), ტანჯვების დროს ის იწვა იატაკზე, რომლის ზედა-პირი მოფენილი იყო გახურებული ლურსმებით. ესეც აღარ აკმარეს მტარვალთა წმ. ქეთევანს: მკერდით ზურგამდის გახურებული შამფურებით დასწვეს... შემდეგ ჩააცვეს მას გახურებული ჯაჭვი; ბარით თავი გაუხეთქეს და სხვ... ჭეშმარიტად წმ. ქეთევანმა, საღმრთო სურვილით მოწყლულმა (გატაცებულმა) ბევრი წყლულებანი გარდაიტანა და ტანჯვათა სხვა და სხვაობანი ახოვნად დაითმინა. წმ. გვამი ტანჯვით მიცვლილის ქეთევანისა მტარვალთ გადააგდეს მწვირიანს ადგილს და ქრისტიანებმა იცვნეს იმითი, რომ იმ ადგილს; სადაც ეს გვამი იქმნა დაგდებული ნათლის სვეტი დაადგა... პირველად სხეული წმ. ქეთევანისა მოსძებნეს ტფილელ სომხებმა და ქართველებთან ერთად დაჰფლეს დაფარვით შირაზის ქალაქშივე.

ილ. ფერაძე

(დასასრული იქნება)

# თეატრის მატიანე

ქართულ-რუსული წარმოდგენა დუშეთში ოთხშაბათს, 25 ნოემბერს, ადგილობრივმა სცენის მოყვარეთ ქართულ-რუსული წარმოდგენა გამართეს. ქართულად ოთხ მოქმედებიანი კომედია „ხანუმა“ ა. ცაგარლისა. რუსულად „Безъ жены“ ერთ მოქმედებიანი ვოდევილი, და „Ищу жениха“ ფარსი ერთ მოქმედებად. მონაწილეობას იღებდნენ: ქქ. ვერა ვლადიმეროვისა, ნინა მცხვეტაძისა, ნ. დაფქვიევისა, ნ. ბარნაბოვისა და ნ. ჰინჭველაძისა. ბბ. ალექსანდრე ვლადიმიროვისა, ალ. ლალიშვილი, ლადო დაფქვიაშვილი, გრ. ვლადიმიროვი და მაქრო ჰინჭველაძე, როგორც ქართულმა აგრეთვე რუსულმა წარმოდგენამ კარგათ და მწყობრათ ჩაიარა, საზოგადოებაც ნასიამოვნები დარჩა. დასასრულ გამართული იყო „ლეკური“ ითამაშა ცნობილ მოლეკურემ კახელმა სიკო პაიჭაძემ, რომელიაც მშვენივრათ ითამაშა როგორც პირველ წარმოდგენაში, აგრეთვე მეორეშიაც და რამდენჯერმე ვაშას ძახილით და ტაშის კვრით იქმნა გამოწვეული და თამაშობა გაამეორებინეს; საზოგადოებაც დიდი ნასიამოვნები დარჩა გარდა ამისა დიდი დახმარება აღმოუჩინეს წარმოდგენას ივ. გძელიძემ, ვარ. გმირულაშვილმა, პარ. ბეგიევმა და პარგოტტმა, რომელთაც დიდი შემწეობა გაუწიეს სცენის მოწყობაში. განსაკუთრებით მადლობის ღირსნი არიან ადგილობრივი სცენის მოყვარენი. იმედია არც მესამე წარმოდგენაში დააკლებენ თავიანთ შემწეობას და საზოგადოებას ასიამოვნებენ. ითამაშა ლეკური აგრეთვე ტიტო კობიაშვილმა.

დამსწრეთაგანი

# სამკურნალო ცნობა

ჭლექის ახალი წამალი. სამშაბათს, 1 დეკემბერს, პირაგოვის მუზეუმში დიდ დარბაზში, ვ. ა. ვახტენის თავმჯდომარეობით, მოხდა პეტერბურგის საზოგადოების საერთო კრება. ამ კრებაზედ განხილულ იქმნა ფრიად საინტერესო კითხვა შესახებ ახლად გამოკვლეულის წამლისა, რომელსაც „ნატრი“ (საქიმო მარილი) ეწოდება. ნატრი აღმოჩენილი უებარი, ჭლექის მოსარჩენი წამალია ექიმმა ი ა. ლავიცკიმ რამდენიმე მოსაზრება წარუდგინა საზოგადო კრებას ამ წამლის შესახებ და დაასაბუთა მაგალითები, რომ რომელ ჭლექით ავადმყოფებზედაც კი ვცადე ეს საშუალება, ყველაზედ მეტად სანუგეშო ზედ-გავლენა იქონია. ჩემთან მოიყვანეს ერთი ჭლექისაგან დაძაბუნებული მხატვარი, რომელსაც სიცოცხლის პირი აღარ ეტყობოდა. თავის ტკივილი ჰქონდა საშინელი, ხველა, ხშირი სუნთქვა, ახრიტინებდა, სადრეკებს ქვეით სულ შეშუპებული იყო, სიცხე გამოუნელებელი, დამ-დამე სისუსტის ოფლი, კისერზედ კარგათ გაზდილი დამუწუკებული ჯირკვლები და სისუსტე ამ ჭლექიანის წამლობა ნახევარ მარტიდან დავიწყე. სამ-ოთხ დღეში ერთხელ ტყავ-შიგნიდგან სხეულში გახსნილს ნატრს ვუშვებდი. ოთხი თვის განმავლობაში ავადმყოფს თავის ტკივილიც დაეკარგა, ხველა შეუდგა, სუნთქვა დაიწყო ჩვეულებრივ, შეუდგა ხრიტინი, შეშუპებული ფეხები დაუცხრა, სიცხე მოესპო, დაეკარგა ოფლი კისრის, ჯირკვლები მოახმა და გამოეშუშა; დადგა კაცი ჩვეულებრივ ჯანზე. თუმცა ავადმყოფს მხატვარს სასმელ-საჭმელი საკმაოდ ნოყიერი არა ჰქონდა, მაგრამ სიმქიმით რვა გირვანქა მოუმატა.

მეორე შემთხვევაც მქონდაო, განაგრძობს იგივე ექიმი დავრწმუნებულიყავ ნატრის სინამდვილეში. ჩემთან მოიყვანეს ერთი ქალი, რომელიც იმგვარადვე იყო ჭლექით შეპყრობილი, როგორც ზემოაღნიშნული ავადმყოფი. ექიმებს ეს ავადმყოფი უიმედოდ ეცნოთ, მხოლოთ კუმისი გამოეწერათ მისთვის სასმელად. როდესაც ავადმყოფი გავსინჯე, შევნიშნე, რომ ამ სასმელს ძალიან დიდი ცვლილება მოუხდინა ქალის ფილტვების ზედა კანზედ და განსაკუთრებით მარჯვენა ფილტვის ფრთაში სიცხე ძალიან დიდი ჰქონდა, ბაცილები ჰყვანდა აუარებელი. რამწამს დაუწყე ნატრის საშუალებით წამლობა, ავადმყოფი დღითი-დღე გამოკეთდა და რამოდენიმე ხნის შემდეგ სრულიად თავის ჯანზე დადგა. დაუბრუნდა ფერიც და სხეულის სიმძიმეც მოემატა. ექიმმა კიდევ ბევრ სხვა მაგალითიც დაასახელა უცხოელ ექიმების და თავის საკუთარი გამოცდილებიდან. ექიმს მადლობა გარდაუხადეს ტაშის დაკვრით და საზოგადო კრებამ სთხოვა ექიმს, რომ ახალი საშუალებით განაგრძელოს ჭლექის მკურნალობა.

ივ. კაველი.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა საავენტოსაგან)

9 დეკემბერი

**რეტიმნო.** ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღესასწაულმა აქ მეტად მხიარულად ჩაიარა, მაჰმადიანნი მცხოვრებნი, თავიანთის სასულიერო წოდების წარმომადგენლებით დაესწრნენ მართლ-მადიდებელთა ეკკლესიაში ვარდახდილს პარაკლისს. ეს ამბავი აიხსნება რეტიმნოში მყოფ რუსეთის მთავრობის წარმომადგენელთა მხნე მეცადინეობით. ამ მოხელეთა კეთილმა მოქმედებამ მცხოვრებთა შორის დიდი ნდობა დაჰბადა.

**ქაირი.** მარშანი თავისის ჯარით ფაშოდიდგან გამოვიდა, საფრანგეთის დროშა ჩამოხსნეს. ფაშოდის ციხეზე ამართულია ინგლისისა და ეგვიპტეს დროშები, რის შემდეგ ფორტი ეგვიპტეს ჯარმა დაიჭირა. მარშანი მატის მდინარისაკენ წავიდა.

**მილოსი.** დილით ადრე მოვიდნენ ინგლისისა, საფრანგეთისა და რუსეთის ადმირალები. დილის 10 საათზე მოვიდა აქ გემით „ამფიტრიდათი“ ბატონიშვილი გიორგი. ადმირალები მიესალმნენ ბატონიშვილს, რომელიც შემდეგ ყველსთან სათითაოდ იყო სადარბაზოდ. რუსეთის გემის მღვდელმა დალოცა ბატონიშვილი წმ. ნიკოლოზის სასწაულთ მომქმედი ხატით. ხვალ, დილის 8 საათზე ბატონიშვილი კანეას წავა. აქ ბატონიშვილს ჩააბარებენ მმართველობას, ამართულ იქმნება კრიტის დროშა და იმ წამიდგან მოსპობს თავისს მოქმედებას ადმირალთა საბჭო.

**ლონდონი** სენტ-ჯემს-ჰოლლეში მოხდა კრება, რომელსაც მოუწოდა ჟურნალისტმა სტედმა რუსეთის იმპერატორის მიერ იარაღის აყრის შესახებ გამოქვეყნებულ მანიფესტის განსახილველად. თავმჯდომარედ იყო ლონდონის არქიდიაკონი. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელთაც ურჩიეს სამართლიანობის და ადამიანობის მეგობართ შეწყნარებულ იქმნას იმპერატორის წინადადებათ. განზრახვა აქვთ დააარსონ კომიტეტი, რომელმაც საერთოდ უნდა იმოქმედოს ხელმწიფე იმპერატორის მიერ განცხადებულ მანიფესტისათვის ნიადაგის მომზადებაში მთელის განათლებულის ქვეყნისათვის.

**კონსტანტინეპოლი.** ილდიზკიოსკში გაიმართა სადღესასწაულო სადილი პატივსაცემლად დიდის მთავრის ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძისა, რომელსაც თან ახლდა ხინოვიევი დაესწრნენ: დიდი ვეზირი, სამხედრო მინისტრი, ზღვათა მინისტრი, სახელმწიფო საბჭოს პრეზიდენტი, გარეშე საქმეთა მინისტრი გენერალ-ფელდცეხმეისტერი, დიდის მთავრის ამალა, საელჩოთა წევრნი, გემის „პრუტის“ ოფიცრობა და სასახლის უფროსნი მოხელენი.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატა მილიენარის წინადადების განხილვას შეუდგა. რა პირობებით შეიძლება საიდუმლო dossier დრეიფუსის საქმის შესახებ გარდაეცეს საკასსაციო სასამართლოს. გაცხარებულის კამათის შემდეგ პალატამ, 870 ხმით 80 წინააღმდეგ, შეიწყნარა დიუპუის ფორმულა, რომელშიაც ნათქვამია, რომ პალატა იწონებს მთავრობის განცხადებას და მორიგ საქმეების განხილვაზედ გადადის.

10 დეკემბერი

**პეტერბურგი.** საიმპერატორო სამხედრო-სამკურნალო აკადემიის ასის წლის არსებობისა გამო შემოღებულ იქმნა საგანგებო, გულზე სატარებელი ნიშანი.

**სტამბოლი.** სენატი შეუდგა რა წინადადების განხილვას, აკანონებს, რომ მშვიდობიანობის დროს სიკვდილით იყვნენ დასჯილნი ის მოხელენი რომელნიც დამნაშავენი აღმოჩნდებიან ჯაშუშობაში.

**სტამბოლი.** პალატა. სოციალისტმა ფურნიემ წარადგინა წინადადება შესახებ იმისა, რომ სამხედრო სამსახურის მოხელეთ დაუბრუნონ პოლიტიკური უფლებანი. ფურნიე თხოულობს, ეს საქმე დაუყოვნებლივ უნდა იქმნეს განხილულიო. პალატამ 477 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 266 ხმისა უარ-ჰყო ამ საქმის განხილვის დაუყოვნებლობა.

საიდუმლო „დოსიე“ დრეიფუსის საქმისა გარდაეცა საკასაციო სასამართლოს, ხოლო იმ პირობით, რომ ეს საბუთის ქაღალდი არ იქმნეს გამოქვეყნებული.

**ბუდაპეშტი.** გამოცხადებულ იქმნა ხელმწიფის მიერ ხელ-მოწერილი ბრძანება, რომლითაც სამინისტროს ბანფი დათხოვნილ იქმნა სამინისტროს მმართველობისაგან. იმის ადგილზე იქმნება სტატს სეკრეტარი სეგენი, რომელსაც ებოძება ტაინი სოვეტნიკობა.

**მილოსი.** ბატონიშვილი გიორგი და დიადოხი შუადღისას მობრძანდნენ აქ „ამფიტრიდის“ გემით. ადმირალების გემებიდგან ზარბაზნები დასცალეს ბატონიშვილის მისალმების ნიშნად. მუსიკა საბერძნეთის საერო ჰიმნს უკრავდა. ადმირალები წარსდგნენ ბატონიშვილის გიორგის წინაშე, რომელიც შემდეგ სადარბაზოდ მივიდა ადმირალებთან. ადმირალებმა ბატონიშვილ გიორგისთან ისადილეს. შუაღამეზედ ბატონიშვილი წავა კრიტში „ბუგბო“-ით რომელსაც სხვა გემები გააცილებენ, ხოლო დიოდოხი უკანვე დაბრუნდება საბერძნეთში. ბატონიშვილი გიორგი დილით მივა სუდაში, საცა დახვდებიან ადმირალები, და შემდეგ ეტლით წავა კანეას, სადაც მართლ-მიდიდებელთა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება სამადლობელი პარაკლისი. კონახში ადმირალი პოტიე ჩააბარებს ბატონიშვილს კრიტის მმართველობას; ამ დროს კონახზედ ამართული იქმნება თვით მმართველობის დროშა და ადმირალების გემიბზედ 21-ჯერ დასცლიან ზარბაზანს. შემდეგ ბატონიშვილი ინახულებს კონსულებს, ჯარის უფროსთ, ოფიცერთ, ეროვნულ კრების აღმასრულებელ კამიტეტის წევრთ, ქალაქის მოურავს და მუსულმანთა წარჩინებულ კაცებს. კანეაში ლამაზად გამოფენილია ბაირაღები, განსაკუთრებით თვითმმართველობისა: თეთრი ჯვარი ცისფერს არშიაზედ და მარცხენა ზევითა კუთხეში თეთრი ვარსკვლავი წითელს არშიაზედ.

**ვენა.** გამოცხადებულ იქმნა ბრძანება რეიხსტაგის კრების გადადების შესახებ.

**ლონდონი.** „Morning Posts“ დეპეშით სწერენ ხონკონგიდგან, რომ „ან ძე-კიანგის“ ზემოხეობაში საქმეთა ვითარება კვლავ საშიშოაო. ვიცე კოროლმა ხუპემ ბრძანება გასცა, ჯარი მზად იყოს იშანგში წასასვლელადაო. სეჩევანის პროვინციაში უკმაყოფილება ვრცელდება. უწესოება დღითი დღე ძლიერდება. იგივე ხდება ხუნანის პროვინციაში.

**კანეა.** ბატონიშვილის გიორგის მოსვლის გამო დღევანდელის შემდეგ ორი დღე სადღესასწაულო დღეებად იქმნენ აღიარებულნი. ბატონიშვილმა გიორგიმ მცხოვრებთა სიხარულის გრძნობის დასაკმაყოფილებლად ეტლით გაიარა გაჩირაღდნებულს ქალაქში, სიხარულით აღტაცებულს ხალხს ხელში მაშხალები ეჭირა და ისე უხვდებოდა ბატონიშვილს. მაჰმადიანებმაც მონაწილეობა მიიღეს საერთო სიხარულში და თავიანთი სახლები გააჩირაღდნეს.

**სუდა.** ბატონიშვილი გიორგი მოვიდა აქ დღეს დილით. დაუხვდნენ ოთხის დიდის სახელმწიფოს ადმირალნი და მხიარული ხალხი. ამართულ იქმნა კრიტის ავტონომიის დროშა და სამხედრო გემებმა სათითაოდ 12 ზარბაზანი დასცალეს.

შემდეგ ბატონიშვილი მივიდა კანეაში. ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. თანამდებობის მიღების დროს ბატონიშვილმა სთხოვა ადმირალებს გარდაეცით თქვენს მთავრობას, რომ დიდად მადლობელი ვარ იმათი ნდობისათვისაო.

**კანეა.** ადმირალმა პოტიემ, გადასცა რა ბატონიშვილს გიორგის კუნძულის მმართველობა, განაცხადა, სრული იმედი მაქვს, რომელიც დიდმა სახელმწიფოებმა დაგავალესო. ბატონიშვილმა მიჰმართა კრიტის კუნძულის მცხოვრებს სიტყვით, დაჰპირდა სამართლიანს და პირუთვნელს მმართველობას და ურჩია დაივიწყეთ უწინდელი შუღლიო. ბატონიშვილმა დასძინა ისიც, რომ ქვეყნის კეთილდღეობისათვის საჭიროა, რომ ყველა მცხოვრებელთ თვისი დახმარება აღმოუჩინონ.


# განცხადება

ცნობილი ფაბრიკებ[ის]



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტ[ები], კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

—

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

—

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

**ბ. მ. მირიმანიანისა**

**Музыкальное депо**

**Б. М. Мириманіана**

Тифлисъ, Дворцов. ул.

(54—49)

ახლად შემდგარი სუფსის მეეტლეთ[ა] ამხანაგობა

# „კავშირი“

იწყებს თავის მოქმედებას პირვე[ლ] ნოემბრიდან.

ეტლთა მიმოსვლა არის შედარებ[ით] ლი მატარებლის მიმოსვლასთან. სუფსიდან გადის ომნიბუსი ქ. ფოთში დილის 10 საათზე, ბრუნდება 6 საათზე საღამოს.

ფასი დაწესებულია ერთი მანეთი.

ამხანაგობის გამგე ბ. შ. კომასიძე

(15—10)

იყიდება

„ცნობის ფურცლის“ რედაქცია[ში]

იაფ-ფასიანი

სახალხო გამოცემანი:

თავ. ილია ჭავჭავაძე . 2

ალექსანდრე ეპისკოპოსი

სპარსეთის მეფე და ქართ[...]

გლდი ტყვე . . .

პატარა ბიბლიოთეკა .

ვინც ცალს ას გამო[...] ნეთზე დაეთმობა ორი ს[...] მსურველს მიჰმართავენ „ცნო[ბის] ფურცლის“ რედაქციას. (30—[...])